პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა
25 იანვარი
№ 21 (17963)
ფასი 2 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გულითად, მხურვალე კომუნისტურ სალამს უძღვნის სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ — პარტიისა და ხალხის ერთგულ შვილს, თანამედროვეობის გამოჩენილ პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეს, დიდი ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის საქმის განმგრძობს, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, რესპუბლიკის ყველა მშრომელი თავიანთ XXVI ყრილობას შეეგებნენ განსაკუთრებით მჭიდროდ შეკავშირებული მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო, იმის მზადყოფნით, რომ დაძლიონ ახალი მიჯნები კომუნისტურ მშენებლობაში, გადაწყვიტონ ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზული ამოცანები, რომლებსაც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXVI ყრილობა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მუდამ გრძნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს დიდ უურადღებას, პირადად თქვენს ზრუნვას, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომლის მკაფიო გამოხატულება იყო უკანასკნელი წლების მანძილზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებული ჩვენი რესპუბლიკისათვის ისტორიული დადგენილებანი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის, სახალხო მეურნეობის, კულტურის ყოველმხრივი განვითარების, ინდუსტრიული პოტენციალის ამაღლების საკითხებსა და სხვა პრობლემებზე, რომლებიც შეეხებიან საქართველოს სს რესპუბლიკის ძირეულ, საარსებო ინტერესებს.

საბჭოთა საქართველოს შემდგომი ეკონომიკური და კულტურული აყვავებით ღრმად დაინტერესების ახალი დამაჯერებელი გამოვლინება იყო თქვენი მხურვალე, გულითადი მოლოცვა რესპუბლიკის მშრომელებისადმი მეათე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების გამო.

საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს ეს მიაჩნიათ ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამოხატულებად, ყოველმხრივ ზრუნვად თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აყვავებისათვის.

დღეს თავიანთ უმაღლეს ფორუმზე შეკრებილი საქართველოს კომუნისტები აფასებენ მეათე ხუთწლედის წლების მანძილზე განვლილ გზას, აჯამებენ თავიანთი მუშაობის შედეგებს. კიდევ უფრო განვითარდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 41 პროცენტით და მიაღწია ხუთწლიანი დავალების ზედა ზღვარს. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება გაიზარდა ერთი მესამედით და მეტად, მნიშვნელოვნად გადააჭარბა მეათე ხუთწლედისათვის დადგენილ დონეს. რესპუბლიკამ ახალი დიდი ნაბიჯი გადადგა სოციალური ამოცანების გადაწყვეტის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის განვითარების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე ახალ საფეხურზე ავიდა სოციალისტური დემოკრატია, განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა, გაიზარდა საბჭოთა ხალხის აღმშენებლობითს საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი, წარმმართველი და მაორგანიზებელი როლი.

საბჭოთა ადამიანის გარჯით შეიქმნა გიგანტური საწარმოო პოტენციალი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველყოთ ეკონომიკის — ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების მთავარი ფაქტორის ძლევამოსილი განვითარება, განვამტკიცოთ საბჭოეთის თავდაცვისუნარიანობა, რაც ჩვენს პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების საიმედო გარანტიაა.

ყოველივე ამაში ვხედავთ ტიტანურ მუშაობას, რომელიც გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ თქვენი, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, მეთაურობით.

მომწიფებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი, მეცნიერული მიდგომა, ჩვენი საზოგადოების სულიერი პროგრესისათვის, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა ახასიათებს პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

გულში რწმენას გვინერგავს, ახალ შრომითს მიღწევებს შთაგვაგონებს ამ დოკუმენტის თითოეული სტრიქონი, რომელიც საბჭოთა საზოგადოების პროგრესის ახალ დიდ პერსპექტივებს სახავს.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მაღალი აქტიურობის ატმოსფერომ, რაც გამოიხატა დელეგატთა გამოსვლებით, ყრილობის თითქმის ყველა მონაწილის მიერ გამოთქმული მრავალი წინადადებითა და სურვილით, თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად ცხადყო თითოეულის მტკიცე გადაწყვეტილება — მთელი შემართებით იბრძოლოს კომუნიზმის ნათელი იდეალებისათვის, ის, რომ ისინი სავსებით მზარს უბერენ და ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთელ საგარეო და საშინაო პოლიტიკას, თქვენს, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, დაუცხრომელ, მრავალმხრივ მოღვაწეობას ქვეყნად მშვიდობისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა, გამოხატავს რა რესპუბლიკის კომუნისტთა, ყველა მშრომელის ფიქრებსა და მისწრაფებებს, აღუთქვამს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას კომუნისტურ მშენებლობაში ახალი მიჯნების მისაღწევად.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გაიმართა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. **ე. ა. შევარდნაძე.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად არჩეულია ამხ. **ბ. ვ. კოლბინი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, ბ. ნ. ენუქიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი.**

პლენუმმა აირჩია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, რომლის შემადგენლობაში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, ბ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჯიოანავა, ს. ე. ხაბეიშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები **ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებად დამტკიცებული არიან ამხანაგები.

ს. ე. ხაბეიშვილი — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებისა;

ვ. ა. შარტავა — პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისა;

ო. შ. ქაჯაია — უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილებისა;

ე. ა. სეხნიაშვილი — მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილებისა;

ბ. დ. მახარაშვილი — მრეწველობის განყოფილებისა;

ბ. ზ. ბარსუკოვი — ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებისა;

ო. მ. ივანაშვილი — მსუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებისა;

ბ. ა. ანდრონიკაშვილი — მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილებისა;

ლ. ლ. ზაქაიძე — სოფლის მეურნეობის განყოფილებისა;

შ. ზ. ბერიანიძე — ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებისა;

ნ. ვ. სანთელაძე — საგეგმო და საფინანსო ორგანოების განყოფილებისა;

ნ. რ. საჯაია — ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებისა;

ლ. ი. მგალობლიშვილი — საერთო განყოფილებისა;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველად დამტკიცებულია ამხ. **თ. ი. ხელაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ამხ. **შ. ვ. ყარყარაშვილი.**

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად დამტკიცებულია ამხ. **ბ. ვ. ბედინეიშვილი,** გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორად — ამხ. **ნ. ბ. ჩერქეზიშვილი,** გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორად — ამხ. **ა. ა. ბლრციანი,** გაზეთ „სოვეტ გურჯუსტანის“ რედაქტორად — ამხ. **ს. მ. სულეიმანოვი,** ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორად — ამხ. **ვ. ი. ძაღუმიძე,** გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორად — ამხ. **მ. დ. დავითაშვილი.**

* * *

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. **ი. გ. ხაზარაძე.** (საინფორმ).

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

ცენტრალური კომიტეტის წევრები

აბაშიძე გ. გ.	გორგაძე ლ. ი.	კოტაიძე ა. ვ.	პაპუნიძე ვ. რ.	ქოქლიანიძე გ. ლ.
ბაბაშიძე ი. ბ.	გუგუშვილი ჯ. ი.	კოტახიძე ვ. ი.	პატარიძე ზ. ა.	ქოქჩოიანი ვ. ა.
ბერამოშვილი ვ. პ.	გულუა ბ. დ.	კოლბინი ბ. ვ.	პატიაშვილი ჯ. ი.	ღოლიჯაშვილი ა. ზ.
ბლეიბა ბ. ვ.	გუნავა ბ. ი.	კუტალია ო. თ.	პეტრიაშვილი ნ. ა.	ყარაულაშვილი ე. ა.
ბუაუთაშვილი მ. ბ.	გურგენიძე ნ. ვ.	კურტანიძე ბ. ნ.	როსტიაშვილი ტ. ვ.	ყარყარაშვილი შ. ვ.
ვეფხვაძე ვ. ი.	დათაშვილი ა. ი.	ლაშქარაშვილი თ. ვ.	რუხაძე ნ. დ.	შავიშვილი კ. ნ.
ანანიაშვილი შ. ა.	დათიაშვილი �ვ. ვ.	ლეგანიძე ბ. ი.	საჯაია ნ. რ.	შარტავა ვ. კ.
ანდრონიკაშვილი ბ. ა.	დგალიშვილი ლ. ნ.	ლოლაძე ბ. ი.	საკანია ნ. ბ.	შეკვარდნაძე ე. ა.
არაბიძე ვ. ი.	დუმბაძე ნ. ვ.	ლოლაშვილი ო. ი.	სანაკოევი ფ. ს.	შინჯიაშვილი ბ. ი.
ასლანიკაშვილი მ. ა.	ელიაშვილი რ. კ.	მაკაროვი ნ. ი.	სანთელაძე ნ. ვ.	შირინკინი ა. ი.
ხარვეკაცი ნ. ა.	ენუქიძე ბ. ნ.	მალაზონია ე. ს.	სეიდოვა ვ. კ.	შუღაროვი ბ. ს.
ბვილდიანი ზ. ბ.	ესპანჯია ვ. პ.	მაქაშვილი ბ. ზ.	სეხნიაშვილი ე. ა.	ჩერქეზიშვილი ნ. ბ.
ბარაბაძე ა. მ.	ეცადაშვილი შ. მ.	მახარაშვილი ბ. დ.	სირაძე ვ. მ.	ჩერქეზია ო. ე.
ბარსუკოვი ბ. ზ.	ვადაბკორია ვ. ი.	მგალობლიშვილი ვ. ი.	სოგოლეევი ვ. ა.	ჩიგობიძე ბ. ე.
ბატიაშვილი ვ. ვ.	ვარძელაშვილი ო. ბ.	მგელაძე ბ. დ.	სტეპანოვი თ. ბ.	ჩხეიძე ზ. ა.
ბერდნელიშვილი ბ. ვ.	ვარდოსანიძე ვ. ბ.	მდივანი მ. ვ.	სტურუა დ. ბ.	ჩხეიძე რ. დ.
ბერიანიძე შ. ზ.	ვაშაძე ნ. ბ.	მეზვრიშვილი მ. ა.	ტუბუჩავა ლ. ტ.	ჩხიკვიშვილი დ. ი.
ბირკაია ს. ბ.	ვაშაკიძე ბ. ი.	მელქაძე ო. ვ.	ტუმალაძე ბ. ა.	ცირამუა ე. ს.
ბოკერია ო. მ.	ზაქაიძე ლ. ვ.	მემანდარიშვილი რ. ვ.	უბილავა ი. ჯ.	ცისკარიშვილი მ. ა.
ბუაძე ა. ი.	თაქთაქიშვილი ო. ვ.	მენთეშაშვილი თ. ნ.	უნგიაძე ი. ბ.	წოთლიძე ბ. ა.
ურჯანაძე ა. ვ.	თოდუა ი. თ.	მეუნარგია ვ. ბ.	ფოფხაძე ნ. ა.	ჭითანავა ნ. ა.
ჩუკაური ნ. ს.	იბრაგიმოვა პ. ი.	მოვსესიანი ა. ო.	ქაგულოვა თ. შ.	ჭანიძე ბ. ი.
ბუნია ბ. დ.	ივანაშვილი ო. მ.	მოსაშვილი თ. ი.	ქაჯაია მ. მ.	ხაბეიშვილი ს. ე.
ამცემლიძე ბ. პ.	ივანიაშვილი უ. ა.	მოსესოვი დ. ნ.	ქაჯაია ო. შ.	ხარაძე ე. კ.
ვერდწითელი ი. ბ.	იმედაძე თ. შ.	ნადარაია ნ. ო.	ქართველიშვილი დ. ვ.	ხარატიშვილი ი. ა.
ვეტაძე ბ. ი.	ინაური ა. ნ.	ნანიეკი პ. ა.	ქართველიშვილი ტ. ი.	ხაჩიძე თ. შ.
ილორგაძე რ. მ.	კარანაძე ა. ბ.	ოდიშვილი ნ. ა.	ქარუმიძე ვ. ი.	ხელაშვილი თ. ი.
ილარიონი კ. ბ.	კვაჭაძე ზ. ა.	ოკუჯავა ვ. მ.	ქედიშვილი ი. ი.	ხოფერია ო. პ.
ოგოლაძე ვ. ტ.	კილასონია ო. რ.	ორჯონიკიძე ი. ნ.	ქინქლაძე ო. დ.	ჯანჯღავა კ. ვ.
ონნაროვი ვ. მ.		პაპოიანი ე. ა.		

ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები

ბზვანიძე ბ. ს.	გადელია ბ. ბ.	კვარაცხელია ვ. ა.	მთვარელიძე ვ. ნ.	შენგელაია ე. ნ.
ვალიანი ნ. შ.	გოგლიჩაძე ნ. პ.	კირილიუკი ვ. კ.	მხეიძე რ. შ.	შუშანაშვილი ა. ა.
ოლფენიძე ვ. ტ.	გურგენიძე ი. ვ.	კოტაიძე ა. ა.	ნეფედოვი ნ. ნ.	ჩერედნიჩენკო მ. თ.
ნდრიაძე ნ. ო.	დავითაშვილი მ. დ.	კოშახიძე ნ. ვ.	პირადოვი ვ. ა.	ჩივაძე ზ. დ.
რხიკოვი ა. ი.	დავითაშვილი თ. ნ.	კოსოვსკი ბ. დ.	პისარევა ვ. ი.	ჩიხლაძე ე. ვ.
ხმეტარი ბ. ბ.	დევდარიანი შ. ა.	კოლეჩავა ბ. ბ.	პლუშენიკოვი ა. მ.	ჩოგოვაძე ნ. ბ.
აბიროვი ა. ა.	ენდელაძე ნ. შ.	ლოლაძე თ. ნ.	სალტიკოვი ვ. ვ.	ჭალაბანიძე შ. ი.
ასიაშვილი რ. ბ.	ვალიშვილი ნ. ვ.	ლომთათიძე ძ. ბ.	ფტიაშვილი ვ. ა.	ჭანტურია ა. ვ.
აქრაძე ვ. ბ.	ვართანიანი ა. ტ.	მენაბდე ო. ი.	ქანანეიშვილი თ. ი.	ხაზარაძე თ. ი.
აქრაძე კ. ი.	თალაკვაძე ც. ვ.	მესხიშვილი ზ. შ.	ფედორიაკოვი ბ. ი.	ხაჩიძე ბ. ი.
ედუკაძე ჯ. დ.	თეგკაევა ა. ვ.	მეტრეველი ვ. ი.	ფხაკაძე ბ. ს.	ხრისტიანოვი ო. ა.
ერიძე ე. ა.	კაპბა ე. ე.	მირიანაშვილი ბ. ზ.	ქადაგიძე ს. ბ.	ხუციშვილი ი. ი.
ბრაციანი ა. ა.	კარტოზია ს. ნ.	მოწერელია ი. ა.	ქაჯაია კ. ი.	ჯაფარიძე რ. ა.
				ჯახია რ. დ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

კოგია კ. შ.	გოგიტიძე ი. კ.	კვიტატიანი ვ. ვ.	ნოზაძე ბ. პ.	სულუაშვილი ნ. ვ.
ლექსიძე დ. ა.	გუგუშვილი ბ. პ.	კოტახია ვ. ო.	ორჯონიკიძე ბ. შ.	ურჯუმელაშვილი რ. ბ.
ნდრიაძე ი. ს.	დვალიშვილი ა. ა.	ლატარია მ. ა.	პატეიშვილი ვ. ა.	ქვარცხავა ნ. ვ.
ფაძე მ. ა.	დიასამიძე დ. დ.	ლორთქიფანიძე ბ. კ.	პატიაშვილი ბ. ი.	ქურდინი ვ. ფ.
ფციაური ა. შ.	ერქომაიშვილი ზ. შ.	მაღრაძე ე. ს.	რიგვავა ს. ტ.	შარაშენიძე ვ. ვ.
არისაშვილი ა. ვ.	თევზაძე რ. ნ.	მახარაძე თ. ი.	სალუქვაძე რ. ბ.	შიხაშვილი ბ. ბ.
ართია ლ. ი.	ივანოვა ზ. ა.	მახარაძე შ. მ.	სამადლაშვილი ი. ზ.	ხაზარაძე ი. ი.
ასარია რ. ვ.	კაპარავა ვ. ი.	მგალობლიშვილი ნ. მ.	სარიშვილი დ. ე.	ჯავახიშვილი ბ.
ერქეზიშვილი ვ. ი.	კვალიაშვილი ვ. რ.	მერლანი ი. ა.	სპიროვა ნ. მ.	ჯავახიშვილი ვ. ვ.
ერდაფხაძე კ. კ.	კერესელიძე ჰ. შ.	ნადიბაიძე ვ. შ.	სულეიმანოვი ს. მ.	ჯანბერიძე ნ. შ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მიერ არჩეული სკკპ XXVI ყრილობის დელეგატები

აბაშიძე გ. გ.	დაგრუნდაშვილი ბ. ა.	ლატიფაშვილი მ. ს.	რუხაძე ნ. დ.	შირინკინი ა. ი.
ბაბაშიძე ი. ბ.	დათაშვილი ა. ი.	ლოლაძე ბ. ი.	სანაკოევი ფ. ს.	შუღაროვი ბ. ს.
ბლეიბა ბ. ვ.	დარასელია ა. ვ.	ლორია ნ. ბ.	სელიმაშვილი თ. შ.	ჩხეიძე რ. დ.
ენია ა. ხ.	დვალიშვილი ბ. ნ.	მაკაროვი ნ. ი.	სინაურიძე ბ. მ.	ცისკარიშვილი მ. ა.
ფაძიძე მ. ა.	ვარდოსანიძე ვ. ბ.	მაქაშვილი ბ. ზ.	სიხარულიძე ბ. ბ.	ძიძარია ბ. ა.
აბიროვი ა. ა.	ვართანიანი ა. ტ.	მახარაძე ტ. ი.	სულეიმანოვი ნ. ვ.	წვიტბა ვ. ვ.
აზოვსკი ვ. ნ.	ვიქტოროვი ა. ვ.	მგელაძე ბ. დ.	სურგულაძე ვ. პ.	წიკლაური ლ. ი.
ართია ლ. ი.	ზაქარიაშვილი ქ. ვ.	მელია ნ. მ.	ტარკიშენი ი. ხ.	ჭანიძე ბ. ი.
ასლოვი ა. ი.	თორდია პ. შ.	მელქაძე ო. ვ.	უბილავა ი. ჯ.	ჭანტურია თ. ფ.
ირკაია ს. ბ.	ივანიაშვილი უ. ა.	მენთეშაშვილი თ. ნ.	უნგიაძე ი. ბ.	ჭითანავა ნ. ა.
ეთხუზი ნ. კ.	იმედაძე თ. შ.	მეტონიძე ბ. ა.	ფტიაშვილი ვ. ა.	ჭრიკიშვილი ფ. ვ.
ეცხრიკიძე დ. მ.	ინაური ა. ნ.	მთვარელიძე ვ. ნ.	ქაჯაია მ. მ.	ხაბეიშვილი ს. ე.
აგუნია ბ. დ.	ინოზემცევი ნ. ნ.	მოსაშვილი თ. ი.	ქაბულოვა თ. შ.	ხალვაში მ. ფ.
ერსამია მ. ნ.	კაბასაკალოვა ა. ს.	ნადარაია ნ. ო.	ქართველიშვილი ტ. ი.	ხალდეევი მ. ი.
ვერდწითელი ი. ბ.	კახოიძე ც. ბ.	ორჯონიკიძე ი. ნ.	ქაშაკაშვილი ბ. ვ.	ხარაძე ე. კ.
ილაშვილი პ. ბ.	კვიჟინაძე ნ. ა.	ორდინიძე შ. ბ.	ქემაშვილი ვ. ბ.	ხარაშვილი ვ. ი.
ილორგაძე მ. კ	კოტაიძე ა. ვ.	ჯანკოვა ნ. მ.	ქვარცხავა ნ. ვ.	ხასაია ნ. ა.
ბრეგნიკოვა ნ. ი.	კოლბინი ბ. ვ.	პაპუნიძე ვ. რ.	ღავთაძე ვ. მ.	ხაჩიძე ბ. ი.
უბავა დ. ვ.	კოხტინი ი. ა.	პასკარი პ. ა.	ღოლიჯაშვილი ა. ზ.	ხაჩიძე თ. შ.
უბუჩია ჯ. ი.	კულიშევი ო. თ.	პატარიძე ზ. ა.	შევარდნაძე ე. ა.	ხიტროვი ს. დ.
ულუა ბ. დ.	კუციკა ვ. ლ.	კლიეკი ს. ა.	შენგელია რ. ი.	ჯიმშელეიშვილი ნ. ა.
				ჯასანოვი მ. მ.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

24 იანვარს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დილის სხდომაზე დელეგატები შეუდგნენ დღის წესრიგის მესამე საკითხის განხილვას. სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ზ. ა. პატარიძეს, რომელმაც გააკეთა მოხსენება „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. რ. მ. გიორგაძე, გაერთიანება „თბილისკალაქმშენის“ № 14 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადიერი ამხ. ა. მ. სმირნოვი, საქართველოს სსრ სამელიორაციო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ა. ბ. მუსელრიძე, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ამხ. ა. ვ. ჰაპეტუნია, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ამხ. ბ. პ. გამცემლიძე, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბ. დ. ბაგუნია.

შესვენების შემდეგ ყრილობას თავმჯდომარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ბ. ვ. კოლბინი.

გაგრძელდა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. ჰიოანავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ო. ე. ჩერქეზია, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ამხ. ლ. ბ. ვარდოსანიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ბ. ზ. მირიანაშვილი, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. რ. ნ. ჩიხლაძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ამხ. ბ. ბ. ქაშაკაშვილი.

ამით დამთავრდა კამათი მოხსენების გამო „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილების პროექტის განმხილველი კომისიის სახელით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა. დამატებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ყრილობამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო. დადგენილებაში შეტანილია დელეგატთა საშუალო ჯგუფების რეკომენდაციები.

ერთხმად მიიღეს დადგენილება მოხსენების გამო — „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“.

დელეგატები განიხილავენ დღის წესრიგის შემდეგ საკითხს — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის არჩევნებს.

დელეგაციათა წარმომადგენლების თათბირის სახელით საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოთა შემადგენლობის თაობაზე წინადადებები წამოაყენა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ნ. ნ. ნეფედოვის მოხსენება. ფარული კენჭისყრის შედეგების მიხედვით ყველა დასახელებული კანდიდატურა აირჩიენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში, აგრეთვე სკკპ XXVI ყრილობის დელეგატებად.

შემოაქვთ წინადადება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის სახელით მისასალმებელი წერილი გაუგზავნონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

დელეგატები ამ წინადადებას მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

მისასალმებელი წერილის ტექსტს კითხულობს ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ვ. გ. მეუნარგია.

მისასალმებელი წერილის ტექსტის ერთსულოვანი მოწონების ნიშნად კვლავ იფეთქა ოვაციამ.

დარბაზში შემოდიან საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები, კომკავშირელები, პიონერები და ოქტომბრელები. ისინი მზურვალედ მიესალმებიან რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლეს ფორუმს. გაისმის საქართველოს ახალგაზრდა თაობის საზეიმო ფიცი, რომ სამშობლოს, პარტიისა, ხალხის ერთგულნი იქნებიან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დღის წესრიგი ამოიწურა. ყრილობას დახურულად აცხადებენ. დელეგატები ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“. გაისმის შეძახილები სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის სადიდებლად. (საინფორმ).

სკკპ XXVI ყრილობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების“ გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ **ზ. ა. პატარიძის** მოხსენება 1981 წლის 24 იანვარს

ამხანაგო დელეგატებო!

ჩვენ ყველანი იმ უცილობელი ფაქტის მოწმენი ვართ, თუ რარიგ იზრდება წლითიწლობით ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება, საერთაშორისო ავტორიტეტი, მისი როლი მსოფლიოს ხალხთა ბედ-იღბალში, გავლენა მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე.

ამიტომ სავსებით კანონზომიერი და ბუნებრივია, რომ სკკპ მომავალი ყრილობის მნიშვნელობა ეროვნული ჩარჩოებით არ განისაზღვრება. ლენინური პარტიის XXVI ყრილობა ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იქნება, რომელიც მოასწავებს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი ეტაპის დაწყებას, არამედ აგრეთვე თანამედროვეობის დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების აქტივიზაციის პროცესის შემდგომ განვითარებასა და გაფართოებას.

ყრილობამ უნდა განიხილოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი.

ამ პროგრამის შინაგანი არსი, მთავარი მიზანი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების უზრუნველყოფაა.

კომუნისტური მშენებლობის საარსებო პრობლემებისადმი მიდგომის მემკვიდრეობითობა, პარტიის ტაბანური საქმიანობა XXIV, XXV ყრილობების, ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ფუძემდებელ გადაწყვეტილებათა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბრძნულ მითითებათა შესასრულებლად, ჩვენი ხალხის მიზანსწრაფული, შთამაგონებელი შრომა სრულ საფუძველს გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ პარტიის XXVI ყრილობის განსახილველად წარმოდგენილი პროგრამა რეალურია.

პროექტს დაგეგმვის ფართო ჰორიზონტი ახასიათებს — იგი გაანგარიშებულია 1990 წლამდე პერიოდისათვის. ეს თავისებურება კანონზომიერია. საგეგმო გაანგარიშებათა შეზღუდვა მარტოოდენ ერთი ხუთწლეულის ჩარჩოებით უკვე აღარ იძლევა იმის საშუალებას, რომ შევიმუშაოთ ისინი პერსპექტივისა და თანამედროვე პირობების შესაბამისი მასშტაბების გათვალისწინებით.

ამ თავისებურებით აისახა საბჭოთა სახელმწიფოს გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობანი.

ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის მუდამ იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი გეზი. ამ დარგის ამოცანები ძირითად მიმართულებათა ახალ პროექტში განსაკუთრებით სრულად და დამაჯერებლად არის ჩამოყალიბებული.

საბჭოთა ოჯახის განმტკიცება, დედათა, ბავშვთა, შრომისუუნაროთა პირობების სრულყოფა, ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის ღონისძიებათა სისტემის განხორციელება, მშრომელთა თავისუფალი დროის გადიდება, საოჯახო მეურნეობაში მუშაობის შემსუბუქება, დასვენების უკეთ ორგანიზაცია — ასეთია ძირითად მიმართულებათა დებულებანი დემოგრაფიულ პოლიტიკის დარგში, რომელთა უდიდესი ჰუმანურობა შეუძლებელია გადაჭარბებით შევფასთო.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოიტანა ძირითად მიმართულებათა პროექტი. ეს ფაქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს ლენინური პარტიული პრინციპი — ყოველთვის მოვეთათბეროთ ხალხს, გავითვალისწინოთ მშრომელთა ფართო მასების აზრი, დამაჯერებლად მოწმობს ქვეყნის სახელმწიფოებრივ მართვაში დემოკრატიული საწყისების განუხრელ გაფართოებას, რაც ყველა რესპუბლიკას ანიჭებს თანაბარ უფლებებს განიხილონ და შეიტანონ თავიანთი წინადადებანი ისეთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის გამო, როგორიც ძირითად მიმართულებათა პროექტია.

იწონებს და მხარს უჭერს რა პროექტს, საბჭოთა ხალხი ერთხელ კიდევ თვალნათლივ ცხადყოფს თავის მონოლითურ შეკავშირებას ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

ამხანაგებო!

გასული ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო მთლიანად ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების მნიშვნელოვანი განვითარება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება.

ამას ხელს უწყობდა ის, რომ არსებითად გაიზარდა საზოგადოებრივი წარმოება და ეროვნული შემოსავალი, რომელიც განვლილ ხუთწლედში 400 მილიარდი მანეთით გადიდდა.

ეროვნული სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი — ძირითადი ფონდები — 1,4-ჯერ გაიზარდა. სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებას მოხმარდა თითქმის მესამედთ (29 პროცენტით) მეტი კაპიტალური დაბანდება, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ამან შესაძლებელი გახადა მწყობრში ჩამდგარიყო 1.200-ზე მეტი ახალი დიდი სამრეწველო საწარმო. 10 მილიონითა და მეტად გაიზარდა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი. მატერიალური წარმოების დინამიკურმა განვითარებამ, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდამ განაპირობა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალური განვითარების პროგრამის თანამიმდევრული შესრულება.

განვლილ ხუთწლედში დამთავრდა არასაწარმოო დარგების მუშაკთა თანამდებობრივი სარგოებისა და სატარიფო განაკვეთების მომატება, რაც გამოიხატა 31 მილიონი მუშა-მოსამსახურისათვის ხელფასის გადიდებით. ამ კატეგორიის მშრომელთა საშუალო ხელფასი მთლიანად კავშირში გაიზარდა 15 პროცენტით, კოლმეურნეთა შემოსავალი კი 26 პროცენტით. კოლმეურნე გლეხობა თავისი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობით მნიშვნელოვნად დაუახლოვდა მუშათა კლასს.

ამხანაგებო! გუშინწინ რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ.

დარწმუნებული ვარ, ეს ყრილობის დელეგატთა საერთო. და ერთსულოვანი აზრია; რომ ამხანაგ შევარდნაძის მოხსენებაში ღრმად, ყოველმხრივ და ობიექტურად არის გაანალიზებული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოცემულია რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების შთამბეჭდავი სურათი გასული დროის მანძილზე, განსაზღვრულია მთელი ჩვენი საქმიანობის მთავარი ორიენტირები მომავლისათვის, ჩამოყალიბებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონკრეტული ამოცანები.

ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის უაღრესად სრულყოფილი მოხსენება საშუალებას მაძლევს ყრილობის დელეგატთა და ყურადღება აღარ დავუთმო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის შედეგების დეტალურ დახასიათებას.

ეს შედეგები მნიშვნელოვანია, ჩვენი მიღწევები დიდია. რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სამრეწველო წარმოების გადიდებული მოცულობა.

მშრომელების, კოლექტივების ღონისძიებებმა, რომელთა წარმომადგენლები ამ დარბაზში იმყოფებიან, უდიდესი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დაებმით ტენდენციების დამკვიდრებას, წარმოების სფეროს ალმავლობის პროცესს, ყოველივე იმ დადებითს, რაც ხდება ადამიანებისათვის, ყოველი ჩვენგანისათვის.

თუ ჩვენმა სახელოვანმა მშენებლებმა ხუთწლედში 7 მილიარდ მანეთზე მეტი აითვისეს, განაახლეს და ააშენეს ახალი საამქროები და ქარხნები, ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, კულტურულ-საგანმანათლებლო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ამით მათ უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობაში 218 ათასზე მეტი კაცის ჩაბმა, რომლებიც მარტო ხელფასის სახით, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან გასაცემი თანხებისა და შეღავათების ჩაუთვლელად, წელიწადში 250 მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს იღებენ.

როცა ვამბობთ, ეროვნულმა შემოსავალმა ხუთწლედში დაგეგმილ მაჩვენებელს გადააჭარბაო, ვიცით, რომ ამ შემოსავლის 80 პროცენტზე მეტი უშუალოდ მოხმარდა მოსახლეობას, საბინაო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ სოფლის მშრომელთა უდიდესი წვლილი მთელი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების საქმეში.

კოლმეურნე გლეხობამ, მეურნეობათა მუშებმა და მოსამსახურეებმა გაადიდეს ჩაის, ყურძნის, ციტრუსების, ხორცის, რძის წარმოება, რითაც შეარი საფუძველი ჩაუყარეს მეთერთმეტე ხუთწლედს; ღირსეულად გაართვეს თავი საერთო-საკავშირო შრომის დანაწილების ამოცანებს.

გარდა ამისა — და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია— მოპოვებულმა შედეგებმა განაპირობა სოფლის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების 1,5-ჯერ გადიდება.

გასულ წლებში რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, რომლებიც გარემოსილი არიან პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მუდმივი ყურადღებითა და მხარდაჭერით, შექმნეს მთელი რიგი მაღალიდეური, მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

და, რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მტკიცედ დაადგა საერთო ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის ზრდის გზას.

ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, იმის შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ და განუხრელად ახორციელებს სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ძირეული გაუმჯობესების კურსს.

ეს იმის შედეგია, რომ მშრომელები ერთსულოვნად და მთლიანად უჭერენ მხარს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა ღონისძიებას, შედეგია მასების დიდი შეგნებისა, მათი თავდადებული შრომისა საერთო ინტერესების, საერთო საქმის საკეთილდღეოდ.

და ბოლოს ეს იმის შედეგია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიუროო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მუდმივ ყურადღებას, დახმარებასა და მხარდაჭერას უწევენ რესპუბლიკას.

ძირითად მიმართულებათა პროექტმა ახალი ჰორიზონტები გადაუშალა კომუნისტურ მშენებლობას სსრ კავშირში. ეყრდნობა რა მძლავრ საწარმოო ძალებს, რომლებმაც მეათე ხუთწლედის წლებში თავისი განვითარების კიდევ ერთ, თვისებრივად ახალ საფეხურს მიაღწიეს, პარტია მომავალი პერსპექტივებისათვის სახავს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ამოცანებს.

თვალსაწიერ პერსპექტივაში ჩვენს ქვეყანაში მთავარი ძალები და რესურსები მოხმარდება ძირითადი სახალხო-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტას, უწინარეს ყოვლისა, ისეთი კომპლექსური პროგრამების განხორციელებას, როგორიც არის სასურსათო პროგრამა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების განვითარების, ხელის შრომის შემცირების, სახალხო მეურნეობის მოწინავე დარგების ალმავლობის პროგრამა.

ჩვენი საზოგადოების ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების თანამიმდევრული რეალიზაციის პასუხსაგები ეტაპი გახდება მეთერთმეტე ხუთწლედი.

საზოგადოებრივი წარმოების თანამიმდევრული განვითარებისა და მისი დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის საფუძველზე ეროვნული შემოსავალი 18-20 პროცენტით გადიდდება.

კიდევ უფრო განვითარდება ძმიმე მრეწველობა — ენერგეტიკა, მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმია.

უზრუნველყოფილ იქნება სამრეწველო და სასურსათო საქონლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოების უპირატესი განვითარება.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 26-28 პროცენტით გადიდდება.

ღონისძიებანი, რომლებიც აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ინტენსიფიკაციისათვის პარტიის პოლიტიკის შესაბამისად ხორციელდება, საშუალებას მოგვცეს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობა გავზარდოთ 12-14 პროცენტით.

გათვალისწინებულია ქვეყნის მთელი სატრანსპორტო სისტემის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლება და მისი ორგანიზაციის სრულყოფა.

კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში გაიზრდება 12-15 პროცენტით.

გათვალისწინებულია ხალხის კეთილდღეობის ზრდის, სოციალისტური ცხოვრების წესის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი სისტემის განვითარების დიდი პროგრამა.

დასახულია მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასის გადიდება 13-16 პროცენტით და მისი დონის ზრდა 1985 წლისათვის 190_195 მანეთამდე. საზოგადოებრივი მეურნეობისგან მიღებული კოლმეურნეთა შემოსავალი 20-22 პროცენტით მოიმატებს.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 16-18 პროცენტით გაიზრდება.

საშუალო საქონლბრუნვა 22_25 პროცენტით გადიდდება.

დიდი ამოცანები ისახება საბინაო მშენებლობის დარგში, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

ამრიგად, დაწყებულ ათწლეულში საბჭოეთი კიდევ უფრო შორს წავა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზით.

ამხანაგებო!

ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის მოხსენებაში არა მარტო მოცემულია ჩვენი წარმატებების ღრმა ანალიზი, არამედ გამოვლენილია რესპუბლიკის მეურნეობისადმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისადმი ხელმძღვანელობაში დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ფესვები. ეს ნაკლოვანებები ბევრ რამეს მეტყველებს და, უწინარეს ყოვლისა, დაკარგულ შესაძლებლობებს, გამოუყენებელ რეზერვებს წარმოების ყველა დარგში.

ცხადია, სწორედ ეს შეცდომები და ხარვეზები უნდა გახდეს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ღონისძიებათა უპირველესი ობიექტები. სწორედ ასეთი ვარაუდით უნდა წარმართოს მთელი ჩვენი საქმიანობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსახორციელებლად.

ღრმა ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი.

აქ მთავარი ყურადღება დაეთმო მატერიალური წარმოებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ცალკეულ დარგებში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და დისპროპორციების ლიკვიდაციას. ეს არის ჩამორჩენა ხალხის კეთილდღეობის მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის არასაკმარისი ეფექტიანობა, მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის ჯერ კიდევ სუსტი გამოყენება, შრომითი რესურსების არასრული დასაქმება რესპუბლიკის ცალკეულ რეგიონებში, მოსახლეობის მიგრაციის დაუგეგმავი რეგულირება.

ხუთწლიანი გეგმა დამტკიცდება დაახლოებით მიმდინარე წლის შემოდგომაზე, მაგრამ მთელი რიგი მაჩვენებლები უკვე შემუშავებულია. ახლა მაქსიმალური ყურადღება უნდა დაეთმოთ გეგმის ფორმირებას, დროულად მოვაგვაროთ საკავშირო ორგანოებში ყველა სადავო საკითხი, რათა გეგმა რაც შეიძლება რეალური, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესაბამისი გავხადოთ. ამ მუშაობაში ენერგიულად უნდა ჩაებას ყველა სამინისტრო, უწყება, საკავშირო დაქვემდებარების საწარმო. აღარაფერს ვამბობ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოზე.

მე დამევალა გავაცნო ყრილობას ამ გეგმის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებელი.

1990 წლამდე პერიოდისათვის დასახულია რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წლიური მოცულობის გადიდება 28 მილიარდ მანეთამდე, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავლისა — 13 მილიარდ მანეთამდე, რაც შესაბამისად 1,7 და 1,8-ჯერ აღემატება 1980 წლის მაჩვენებლებს.

სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა იგეგმება 1,8_ჯერ, ხოლო სოფლის მეურნეობისა — 1,6-ჯერ.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პროგრამის კონკრეტული განხორციელების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება მეთერთმეტე ხუთწლედი.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა ხუთწლეულში 31 პროცენტით გაიზრდება და 21 მილიარდ მანეთს შეადგენს. ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი გადიდდება 30 მილიარდ მანეთამდე, ანუ 30 პროცენტით. ზრდის ტემპის ასეთი თანაფარდობა, არსებული განგარიშებით, საშუალებას მოგვცემს მეთორმეტე ხუთწლედში საბოლოოდ დავძლიოთ რესპუბლიკის ჩამორჩენა საერთო-საკავშირო დონისაგან უმნიშვნელოვანესი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით. გაიზრდება რესპუბლიკის წილი ქვეყნის სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში და ეროვნული შემოსავალი სახალხო მეურნეობაში.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველი იქნება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა წარმოებაში. მათი ეკონომიკური ეფექტი 300 მილიონ მანეთს შეადგენს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდა ამ მიღწევათა საფუძველზე — 10_11 პროცენტს. შრომის ფონდაღჭურვილობა სახალხო მეურნეობაში 1,3-ჯერ გადიდდება. ენერგოაღჭურვა — 1,4-ჯერ.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება 33 პროცენტით გაიზრდება. ამ ფაქტორის მეოხებით ჩვენ ეროვნული შემოსავლის საერთო მატების 92 პროცენტს მივიღებთ. ფონდუკუნგება სახალხო მეურნეობაში 1,2 პროცენტით გადიდდება. საზოგადოებრივი პროდუქტის მასალატევადობა 1,2 პროცენტით შემცირდება.

მთლიანად რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდება მეთერთმეტე ხუთწლედში დასახულია 30-33 პროცენტით.

ნედლეულის ბაზა

გასულ ხუთწლეულში გაიზარდა გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ეფექტიანობა. განმტკიცდა კვაისის ტყვია-თუთიის, ჩორდის ბარიტის მაღაროების, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტების მატერიალურ-სანედლეულო ბაზა. მადნეულში აღმოჩნდა ძვირფასი ლითონის სამრეწველო მარაგი. ყვირილის დეპრესიაში — დამატებითი ნედლეულის ბაზა „ჭიათურმანგანუმის“ კომბინატისათვის.

ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს არა მარტო შევინარჩუნოთ მოპოვების დონე, არამედ მათი საწარმოო სიმძლავრეების გადიდების საკითხიც აღვმრთ.

გამოვლინდა მინერალური და თერმული წყლების, ცეოლითების, სხვა ბუნებრივი რესურსების ახალი საბადოები.

შესრულდა არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი სამუშაო სამშენებლო ინდუსტრიის დამატებითი მატერიალურ-სანედლეულო ბაზების გამოსაძებნად.

მეტალურგია, ქიმია

მეთერთმეტე ხუთწლედში გაგრძელდება მეტალურგიული მრეწველობის ტექნიკური განახლება.

განხორციელდება მარტენის ღუმელების, აგრეთვე ნაგლინის წარმოების ძირითადი აგრეგატების რეკონსტრუქცია, დამთავრდება საავლომარაციო ფაბრიკის მშენებლობა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ელექტროლიზური ლითონური მანგანუმის წარმოების სიმძლავრეთა ტექნიკური განახლება ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. აქვე დამთავრდება მუშაობა № 4 საამქროს აირწმენდისათვის — ეს იქნება გარემოს გაჯანსაღების პროგრამის საბოლოო ეტაპი. დასახულია საავლომარაციო ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

იგეგმება ჭიათურის საბადოს მანგანუმის მოპოვების დონის შენარჩუნება და ამასთანავე ყვირილის დეპრესიის ახალი ფენების ათვისების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების შემუშავება.

ყოველივე ეს უზრუნველყოფს შავი მეტალურგიის წარმოების მოცულობის გადიდებას 22 პროცენტით.

ფერად მეტალურგიაში გათვალისწინებულია მადნეულის საბადოს ოქროშემცველი კვარიტების მოპოვების, კვაისის ტყვია-თუთიის მადნის გადამუშავების გადიდება, სპილენძის მადნის მოპოვება-გადამუშავების საპროექტო სიმძლავრის ათვისება.

უპირატესად განვითარდება ქიმიური მრეწველობა, რომლის პროდუქცია 1,5-ჯერ გადიდდება.

მწყობრში ჩადგება 200 ათასი ტონა ამიაკის წარმოების სიმძლავრეები, 1980 წელს უკვე ამოქმედებული 200 ათასი ტონის გარდა. მინერალური სასუქების წარმოება გაზრდება 255 ათას ტონამდე, კაპროლაქტამისა — 47 ათას ტონამდე, ქიმიური ბოჭკოებისა და ძაფებისა — 29 ათასი ტონით და მეტად.

უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება სამთო და საყოფაცხოვრებო ქიმია.

ადგილობრივი ნედლეულისა და გამონამუშევრების ბაზაზე კარგი მარაგნამეტი შეექმნა ფარმაკოქიმიურ მრეწველობას.

საკავშირო ორგანოებში მუშავდება საკითხი, რომ რუსთავში ელექტროლიზური მანგანუმის ორკანგის ბაზაზე მოეწყოს დენის სუსტი წყაროების წარმოება, რომლის სიმძლავრე წელიწადში 300 მილიონი ცალი იქნება.

მანქანათმშენებლობა

ერთ-ერთი ძირეული ეკონომიკური და სოციალური ამოცანაა არსებითად გაიზარდოს სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობაში მანქანათმშენებლობის წილი, რომლის პროდუქცია 1981-1985 წლებში 1,6-ჯერ გადიდდება. ამასთან უპირატესად განვითარდება ელექტროტექნიკური, ელექტრონული და რადიოტექნიკური მრეწველობა.

რესპუბლიკაში მაღალგანვითარებული მეცნიერებისა და მატერიალური ბაზის არსებობის მიუხედავად, მრეწველობაში, განსაკუთრებით კი მანქანათმშენებლობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა ხვედრითი წილი შედარებით მაინც დაბალია. ბუნებრივია, დაბალია სამრეწველო პროდუქციის წილიც ერთ სულ მოსახლეზე. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე შედეგები ნათელია.

ამიტომ რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის დაჩქარებული განვითარების აუცილებლობა და გარდაუვალობა ეჭვს არ იწვევს. მეთერთმეტე ხუთწლედი უნდა გახდეს მანქანათმშენებლობის სიმძლავრეთა შემდგომი გაფართოებული ამოქმედებისა და მეთორმეტე ხუთწლედისათვის მყარი მარაგნამეტის შექმნის ხუთწლედი. ჩვენს წინადადებებს ამ მიმართულებით მხარს უჭერენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიც და მთელი რიგი შესაბამისი საკავშირო სამინისტროებიც.

თუ მეათე ხუთწლედში უზრუნველყოფილი იყო სიმძლავრეთა ზრდა მანქანათმშენებლობაში 330 მილიონი მანეთის ოდენობით, მეთერთმეტე ხუთწლედში იგი 950 მილიონ მანეთს შეადგენს.

მიმდინარე ხუთწლეულში დასახულია განახლდეს, გაფართოვდეს და ახლად აშენდეს 40-ზე მეტი მსხვილი და საშუალო მანქანათმშენებელი საწარმო და მათი ფილიალები, რომლებიც მაღალეფექტიან და ერთობ საჭირო პროდუქციას გამოუშვებენ სახალხო მეურნეობისათვის.

ახლა ჩვენს ქვეყანაში კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა, სხვა მოქალაქეთა 20 მილიონამდე წვრილი საკარმიდამო ნაკვეთთა, რომელთაც 3 მილიონამდე ჰექტარი ფართობი უკავია. ეს მიწა შესაბამისი ტექნიკის უქონლობის გამო ხელით მუშავდება. ადვილი წარმოსადგენია ასეთი შრომის ფასი! რაღა შორს წავიდეთ — რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობაში მცირეკონტურიან ფართობებს 260 ათასი ჰექტარი უკავია, ესე იგი მთელი სახნავის 33 პროცენტი, ამასთან თითქმის მესამედი განლაგებულია 10-გრადუსიან და უფრო ციცაბო ფერდობებზე. და მთელი ეს მიწა მოკლებულია მექანიზაციის საშუალებებს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით, რომელაც მხარი დაუჭირეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა — ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ამხ. ა. ა. ეფუევსკიმ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ — ამხ. ვ. კ. მესიაცმა, გადაწყდა ქუთაისში შეიქმნას 1985 წელს 10 ათასი მოტბლოკოსა და 2,5 ათასი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორის საწარმოო სიმძლავრეები იმ ვარაუდით, რომ შემდგომში მათი გამოშვება გაიზარდოს — შესაბამისად 35 და 10 ათასამდე.

ჩვენ ეს ღონისძიება მიგვაჩნია არა როგორც ერთ-ერთი სახეობის მანქანის წარმოების რაოდენობრივი გადიდება, არამედ როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სრულყოფისა და მისი პროდუქციის ზრდის სოლიდური საფუძველი, როგორც სოფლის მოსახლეობის შრომის შემსუბუქების, მისი კომპლექსური მექანიზაციის საშუალება. ქუთაისის ქარხნის პროდუქცია, უდავოა, უდიდეს დახმარებას გაუწევს რესპუბლიკისა და მთლიანად ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, ყველა მშრომელთ მებოსტნეობის, მებაღეობის სამუშაოთა და თვით საშენებლო სამუშაოთა შესრულებაში.

მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჩაის საკრეფი მანქანების წარმოება. ფართოდ დაინერგება მონორელსიანი ტრანსპორტი. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სოფლისათვის. იგი საშუალებას იძლევა შესამჩნევად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, მოსავლიანობა. ამასთანავე, ამ სახეობის ტრანსპორტი იაფია, მარტივი და მოსახერხებელი ექსპლოატაციაში.

ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში საექსპლოატაციოდ გადაეცემა მანქანათსაშენებელი ქარხნები, რომლებიც გამოუშვებენ ახალ, სახალხო მეურნეობისათვის ერთობ საჭირო პროდუქციას; სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალზე დიდი მუშაობა მოგველის საერთოდ პროდუქციის განახლებისათვის. სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ საკმარის ყურადღებას არ უთმობენ ამ საკითხს, ამასთან მოძველებულ ნაკეთობათა დასამზადებლად დეფიციტური მასალების, ნედლეულისა და სახსრების გამოყოფა სულ უფრო ძნელდება.

ამ მხრივ შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენეს ფოთელმა გემთშემკეთებლებმა, **რომლებმაც რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობის აღსანიშნავად წყალში ჩაუშვეს წყალქვეშაფრთიანი გემის ახალი მოდელი — „კოლხეთი“.** ხომალდი აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, გამოირჩევა ჩინებული სანაოსნო და საექპლოატაციო თვისებებით. ეს ახალი სიტყვაა გემთმშენებლობაში.

ამხანაგებო!

თავის სიტყვაში ჩარხმშენებელთა აქტივის კრებაზე ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ სოციალურ-ეკონომიკური შედეგების ასპექტით ღრმად და დამაჯერებლად დასაბუთა რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების აუცილებლობა. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭირო შეიქმნას პირობები მძიმე ჩარხთსაშენებელი ქარხნის მშენებლობის დასაწყებად. ქარხანა გათვალისწინებულია უნიკალური მრავალპროფილიანი ჩარხებისა და 2.000 ტონაზე მეტი წონის მანქანების დიდგაბარიტიანი დეტალების ავტომატიზებულად დასამუშავებელი კომპლექსების გამოსაშვებად, რომლებსაც იყენებენ მძიმე, ენერგეტიკულ და ატომურ მანქანათმშენებლობაში, საავიაციო მრეწველობასა და მთელ რიგ სხვა დარგებში.

ქარხანა შექმნის მაღალკვალიფიციური შრომის გამოყენების მყარ, მასშტაბურ სფეროს. მისი მშენებლობის შედეგად დიდი ცვლილებები მოხდება მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონების დემოგრაფიულ სტრუქტურაში. მნიშვნელოვნად ამაღლდება რეგიონის მცხოვრებთა ზოგადინტელექტუალური ტექნიკური და განათლების დონე, რაც, უდავოდ, დადებითს გაგლენას მოახდენს მთელი რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. აქ წარმოიშობა ახალი ქალაქი, სადაც 80 ათასი კაცი იცხოვრებს, და იქნება ყველა საჭირო დაწესებულება და საწარმო მოსახლეობის მომსახურებისათვის. კიდევ უფრო განვითარდება საავტომობილო გზები და რკინიგზები.

ქარხნის მშენებლობის რესპუბლიკური შტაბს ხელმძღვანელობს ამხანაგი შევარდნაძე. შტაბის ინტენსიური მუშაობის შედეგად კითხი განხილულ იქნა უმაღლეს დონეზე — სკკპ ცენტრალური კომიტეტში, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. დ[illegible] შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ იგი უკვე დადებ[illegible] გადაწყდა.

სახალხო მოხმარების საქონელი

ამხანაგებო!

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული [illegible] მოსავლის ზრდა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი აღმავალ[illegible] სრული საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუ მა[illegible] ერთად შესაბამისად გადიდდება მასობრივი მოთხოვნილების საქ[illegible]ლის წარმოება და გაფართოვდება მომსახურების სფერო.

მეთერთმეტე

ამხანაგ ზ. ა. პატარიძის მოხსენების დასასრული

ცის წარმოების გადიდების ასეთი რეალური წყარო გვაქვს, და მიუხედავად ამისა სანაზღაუროდაც ვერ ვიყენებთ მის შესაძლებლობებს.

ამას წინათ, როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებითს ღონისძიებათა შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არათუ პირადი, არამედ ჩვენი საწარმო-ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობებიც კი, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, ჯერჯერობით სათანადო ეფექტს არ იძლევიან.

გათვალისწინებულია გაძლიერდეს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის საქმიანობა, გავუწიოთ მათ ყოველმხრივი დახმარება პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში. მათთვის უკვე შერჩეულია 7 ათას ჰექტარამდე ნაკლებინტენსიური მიწა, მაგრამ შექმნილ კოლექტივებს შორის ჯერჯერობით განაწილებულია მხოლოდ 2,1 ათასი ჰექტარი.

ფართოვდება მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის საფუძველი — მელიორაცია.

საქმთავარწყალმშენი უკვე შეუდგა ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მეორე რიგის, ბირკიანის, დალისმთის, ლაკის წყალსაცავების მშენებლობისა და ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მაგისტრალური არხიდან წყლის გადაგდების მოსამზადებელ სამუშაოებს.

1985 წლის ბოლოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა 60 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწა, გარდა ამისა, რეკონსტრუირებულ იქნება 42 ათასი ჰექტარი. ყოველივე ეს მეტია, ვიდრე გასულ ორ ხუთწლედში ერთად.

მეთერთმეტე ხუთწლედში დასახულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს 150 მილიონ კუბურ მეტრამდე ტევადობის, ხოლო 1990 წლამდე — 0,5 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი ტევადობის წყალსაცავები.

ამის შედეგად სარწყავი ვენახების ფართობი გადიდდება 24 ათასი ჰექტარით, ხეხილის ბაღებისა — 20 ათასი ჰექტარით, ხოლო დანარჩენი ფართობი ათვისებული იქნება ბოსტნეულის, კარტოფილისა და საკვები კულტურების მოსაყვანად.

წყალსამეურნეო მშენებლობას მოხმარდება კაპიტალური დაბანდებანი 632 მილიონი მანეთის ოდენობით, მაშინ როცა მეათე ხუთწლედში ათვისებული იყო 485 მილიონი მანეთი.

გათვალისწინებულია სამუშაოთა გაძლიერება ნაკლებინტენსიური და მიტოვებული მიწის სავარგულების ასათვისებლად. ამის თვალსაჩინო მაგალითია სირიგაკიო სამუშაოები უდაბნოს მასივზე. აქ მწყობრში დგება სარწყავი სისტემის პირველი რიგი 4,2 ათას ჰექტარ ფართობზე, რაც ამქამად საგარეჯოს რაიონში წარმოებული მთელი პროდუქციის ნახევარს მოგვცემს.

ამხანაგებო!

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის სამრეწველო გადამუშავებისათვის განკუთვნილ პროდუქციას.

მაგრამ ჩაის ფოთლის, ყურძნის გადამუშავების, კონსერვების წარმოების არსებული სიმძლავრეები ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დროულ გადამუშავებას. ეს იწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, დანაკარგებს. უკანასკნელ ხანს გადამმუშავებელი მრეწველობა აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარებას.

გეგმის პროექტში გათვალისწინებულია ჩაის ფოთლის გადამუშავების საწარმოო სიმძლავრეთა გადიდება წელიწადში 650 ათას ტონამდე, ყურძნისა — 1.050 ათას ტონამდე და კონსერვების წარმოებისა — 700 მილიონ პირობით ქილამდე. დასახულია 110 ათასი ტონა სიმძლავრის 31 ჩაის ფაბრიკის, 340 ათასი ტონა სიმძლავრის 23 ღვინის ქარხნის აშენება და რეკონსტრუქცია. შამპანური ღვინოების წარმოების სიმძლავრეები გადიდდება 40 მილიონ ბოთლამდე, კონიაკის ჩამოსხმა — 2 მილიონ დეკალიტრამდე, სამარკო ღვინოების შენახვის სიმძლავრეები — 15 მილიონ დეკალიტრამდე.

გათვალისწინებულია კონსერვების გამომუშავების საწარმოო სიმძლავრეთა ზრდა წელიწადში 200 მილიონი პირობითი ქილით, რის შედეგადაც წლიური საწარმოო სიმძლავრეები 1985 წელს 700 მილიონ პირობით ქილას მიაღწევს.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, გადამმუშავებელ სიმძლავრეთა დეფიციტის ლიკვიდაციისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით დასახულია სერიოზული ღონისძიებანი. ისღა რჩება, რომ ეს ღონისძიებანი დროულად და მთლიანად შევასრულოთ. ეს ო�ა საქმე როდია. იგი მოითხოვს არა მარტო მთელი ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, არამედ აგრეთვე დიდ დაბმარებასაც საკავშირო ორგანოების, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მხრივ. ვის-ვის, და ამის თქმა არ სჭირდება ამხანაგ პეტრე ანდრიას ძე პასკარს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს. მოძმე მოლდავეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე პატივცემულმა პეტრე ანდრიას ძემ თავად გამოცადა, თუ რა სიძნელეებთან არის დაკავშირებული გადამმუშავებელი მრეწველობის განვითარება, მაგრამ შესანიშნავ შედეგებს კი მიაღწია ამ საქმეში. **დარწმუნებული ვართ, რომ მისი სახით ჩვენს რესპუბლიკას საიმედო დამხმარე და ერთგული მეგობარი ჰყავს.**

ტრანსპორტი. კავშირგაბმულობა

ამხანაგებო!

მეთერთმეტე ხუთწლედში უპირატესი ტემპით განვითარდება საავტომობილო ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა, გაფართოვდება საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის საქმიანობის სფერო და მოცულობა.

საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გაიზრდება 43 პროცენტით, მგზავრთბრუნვა — თითქმის მესამედით. აშენდება ავტომობილების, ძრავებისა და აგრეგატების სარემონტო ქარხნები, გარაჟები, საკონტეინერო მოედნები.

საქართველოს რთული რელიეფის პირობებში კიდული საბაგირო გზების მაღალი ეფექტიანობის გათვალისწინებით დასახულია 14 მთიან რაიონში აშენდეს 40 კილომეტრზე მეტი საერთო სიგრძის ასეთი გზები. კომუნალური მეურნეობის ხაზით აშენდება 44 კიდული საბაგირო გზა, აქედან თბილისში — 15.

გაფართოვდება მსოფლიო პრაქტიკაში სრულიად ახალი სახეობის — პნევმატიკური საკონტეინერო ტრანსპორტის გამოყენების მასშტაბი, რომელმაც უკვე დამაჯერებლად ცხადყო თავისი უდიდესი უპირატესობანი. 17,5 კილომეტრი პნევმოტრანსპორტი უკვე მოქმედებს, წლეულს მწყობრში ჩადგება 40-ვე კილომეტრი.

მაგრამ, როგორც უნდა ვითარდებოდეს ყველა სხვა სახეობათა ტრანსპორტი, ჯერჯერობით ქვეყნის სახალხო მეურნეობაში უდავოდ წამყვან როლს ისევ რკინიგზის ტრანსპორტი ასრულებს, რომლის მუშაობას შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ პარტია და მთავრობა.

მეთერთმეტე ხუთწლედში დამთავრდება მეორე ლიანდაგის დაგება თბილისი-სამტრედიის მთელ უბანზე, რაც 2-ჯერ და მეტად გაადიდებს მის გამტარუნარიანობას. იწყება მეორე ლიანდაგის მშენებლობა სამტრედია-სოხუმის უბანზე. მიმდინარეობს სამტრედიის კვანძის რეკონსტრუქცია. გათვალისწინებულია ბათუმის სამგზავრო ხაზგარის მშენებლობა. მთავრდება დიპოს მშენებლობა ხაშურში. გრძელდება მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის, თბილისის ვაგზლის, სხვა ობიექტების მშენებლობა.

ამასთან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ განვლილ ხუთ წელიწადში გეგმების კორექტირებამ მათი შეუსრულებლობის გამო რესპუბლიკის ყველა საწარმოში 480 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ შეუსრულებლობის 90 პროცენტი გამოწვეულია მასალებისა და მაკომპლექტებელი ნაწარმის უკმარმოწოდებით.

რკინიგზის ტრანსპორტის არაორგანიზებულმა მუშაობამ განაპირობა აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის სათბობის მიწოდების ხშირი შეფერხებანი, თუმცა ქვეყანას საკმარისი რესურსები მოეპოვება, რესპუბლიკას კი საჭირო ფონდები.

მწვავედ დადგა მაგისტრალის შემდგომი განვითარების საზღვრებრ, ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის აუცილებლობა. **თუ მხედველობაში მივიღებთ ამ პრობლემის ზოგადრეგიონალურ, საკავშირო და დიდ სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას, ეს უნდა აისახოს ძირითად მიმართულებათა პროექტში.**

დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა კავშირგაბმულობის შემდგომი სრულყოფა და განვითარება, მისი საშუალებებით სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესება.

გაიზრდება ქალაქისა და სოფლის სატელეფონო ქსელების ტევადობა, გადიდდება სატელეფონო არხების სიგრძე საქალაქთაშორისო ხაზებზე. 1985 წლისათვის ტელეფონების რაოდენობა რესპუბლიკის ყოველ 100 მცხოვრებზე შეადგენს 19-ს და 1990 წლისათვის — 23-ს, მაშინ როცა ახლანდელი რესპუბლიკური მაჩვენებელი არის 12 და საერთო-საკავშირო — 11,5. დასახულია 100 კილომეტრი რადიოსარელეო ხაზების მშენებლობა. გათვალისწინებულია 2 ახალი სარეტრანსლაციო სატელევიზიო სადგურის მშენებლობა. ხუთწლედის დამლევისათვის სატელევიზიო გადაცემებს მიიღებს რესპუბლიკის მოსახლეობის 90 პროცენტი, ხოლო 1990 წლისათვის — 95 პროცენტი.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ უფრო ეფექტიანად უნდა გამოიყენოს კავშირგაბმულობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები.

კაპიტალური მშენებლობა

ამხანაგო დელეგატებო!

ჩვენი სამეურნეო საქმიანობის განმსაზღვრელი მიმართულება ხუთწლედში და 1990 წლამდე უნდა გახდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის იმ მითითებათა შესრულება, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა კაპიტალური მშენებლობისადმი.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, განვლილ ხუთწლეულში რესპუბლიკაში ბევრი რამ აშენდა. მეთერთმეტე ხუთწლედი ჩვენ დიდი ჭარბნაშენით დავიწყეთ. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს დაუმთავრებელი მშენებლობის მნიშვნელოვანი მოცულობაც. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ყოველწლიურად დაუმთავრებელი რჩებოდა 500-მდე ობიექტი, აუთვისებელია 340 მილიონი მანეთი.

1981-1985 წლებში დიდი მასშტაბით განვითარდება სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სოციალურ-კულტურული ობიექტების მშენებლობა. შესაბამისად გათვალისწინებულია სამშენებლო ორგანიზაციების სიმძლავრეებით აღჭურვა.

მოქმედი სახლთაშენებელი კომბინატების სიმძლავრე მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის მიაღწევს 1,07 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს, რაც 300 ათასი კვადრატული მეტრით მეტია, ვიდრე 1980 წელს. გათვალისწინებულია მშენებლობა და რეკონსტრუქცია სახლთაშენებელი კომბინატებისა ლოლოში, ქუთაისში, ხის დამმუშავებელი კომბინატისა — რუსთავში, ლიმონის აღჭურვილობის დამამზადებელი ქარხნისა. ყველა ეს ღონისძიება შეთანხმებულია სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრთან ამხ. გ. ა. კარავაევთან.

დასახულია რუსთავის ცემენტის ქარხნის, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის, მეტეხის აგურის ქარხნის, აეშალის სილიკატური მასალების ქარხნისა და საშენ მასალათა სხვა საწარმოების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება.

გაიზრდება რბილი სახურავის, არამადნეული და საკიდლე მასალების წარმოება, მათ შორის აგურისა — 290 მილიონი ცალით, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილებისა — 764 ათასი კვადრატული მეტრით, ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ფილებისა — 342 ათასი კვადრატული მეტრით.

შემუშავებულია სამშენებლო ინდუსტრიის ბაზების განლაგების გენერალური სქემა.

საცხოვრებელი სახლების არსებული უსახური სერიების გასაუმჯობესებლად 8 მოქმედი სერიიდან სრულყოფილი გახდება საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების 5 სერია. სახმშენმა თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ საქმეში.

საჭიროა მშენებლობაში დაჩქარდეს მართვის ორ-სამრგოლიან სისტემაზე გადასვლა ისეთი ვარაუდით, რომ სამშენებლო წარმოების ძირითადი სამეურნეოანგარიშიანი რგოლი გახდეს საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა რაიონული ტრესტი.

სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციათა რაოდენობის ზრდას ჩვენთან უსწრებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდა. საჭიროა გავამსხვილოთ სამშენებლო ორგანიზაციები, ფართოდ დავნერგოთ მათს პრაქტიკაში ბრიგადული სამეურნეო ანგარიში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, სამინისტროები და უწყებები და, უწინარეს ყოვლისა, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები ყოველ ღონეს იხმარენ რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის ძირეული სრულყოფის, ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების, ობიექტებისა და სიმძლავრეთა ამოქმედების დაჩქარების უზრუნველსაყოფად.

სოციალური განვითარება და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავისი მრავალმხრივი საქმიანობის ქვაკუთხედად მიაჩნია ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებათა შესაბამისად პარტიის სოციალური პოლიტიკის საკითხებზე მეთერთმეტე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში კიდევ უფრო გაუმჯობესდება მოსახლეობის კეთილდღეობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოყენებული ეროვნული შემოსავალი თითქმის 1,4-ჯერ გაიზრდება. ხალხის კეთილდღეობას მოხმარდება ეროვნული შემოსავლის ოთხ მეხუთედზე მეტი.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 15 პროცენტით გადიდდება. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1,2-ჯერ გაიზრდება, ხოლო კოლმეურნეთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება — 1,3-ჯერ.

ამასთან დაკავშირებით ისახება საქონელბრუნვის მოცულობის მკვეთრი გადიდების ამოცანა. ეს აღინიშნა საანგარიშო მოხსენებაში. საქონელბრუნვის ზრდამ უნდა გადაამეტოს ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულ 35 პროცენტს. მაგრამ, როგორც ჩანს, 35 პროცენტი საკმარისი არ იქნება — ეს უნდა გადასინჯოს.

1,4-ჯერ და მეტად, კერძოდ სოფლად — 1,9-ჯერ — გაიზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა.

კიდევ უფრო განვითარდება სახალხო განათლება და კულტურა. ხუთ წელიწადში ბავშვთა რაოდენობა სკოლამდელთა დაწესებულებებში 20 პროცენტით და მეტად გაიზრდება — ყმაწვილები დამატებით მიიღებენ დაახლოებით 35 ათას ადგილს. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 130 ათასი მოსწავლისათვის. უმაღლესი სასწავლებლები მოამზადებენ 73 ათას სპეციალისტს.

სოციალისტური კულტურა ჩვენი რესპუბლიკის თითოეული მცხოვრებისათვის სულ უფრო მისაწვდომი გახდება. მასობრივი ბიბლიოთეკების რაოდენობა გაიზრდება 6-7 პროცენტით, საკლუბო დაწესებულებებისა — 7-8 პროცენტით, კინოდანადგარებისა — 3-4 პროცენტით.

ყურადღების ცენტრში იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება. საავადმყოფოთა საწოლების რაოდენობა თითქმის 6 ათასით გაიზრდება, ხოლო სანატორიუმების საწოლებისა მაქსიმალური მოთხოვნილების თვეებში — 12 პროცენტით.

1981-1985 წლებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 9 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, მათ შორის ინდივიდუალური მშენებლობის ხარჯზე — 1,8 მილიონ კვადრატულ მეტრამდე. ამის მეოხებით სამნაო პირობები გაუუმჯობესდება 120 ათასზე მეტ ოჯახს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მოსახლეობის სატრანსპორტო მომსახურების გასაუმჯობესებლად. გაგრძელდება თბილისის მეტროპოლიტენის ხაზის მშენებლობა.

გათვალისწინებულია რესპუბლიკის გარემოს გაჯანსაღებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა-შენარჩუნების ღონისძიებათა კომპლექსი.

1985 წლისათვის დაგეგმილია მთლიანად შეწყდეს შავი ზღვისა და კასპიის ზღვის აუზების მდინარეებსა და სხვა წყალსატევებში გაუწმენდელი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ჩამდინარი წყლების ჩაშვება.

რუსთავის მეტალურგიულ, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, კასპის ცემენტის კარხნებსა და სხვა საწარმოებში დაიტერენ მავნე ნივთიერებათა გამნაოფრქვევების თითქმის 95 პროცენტს.

ძირითად მიმართულებათა პროექტში ერთ-ერთ დიდ ეკონომიკურ და სოციალურ ამოცანად დასახულია საწარმოო ძალების განლაგების გაუმჯობესება მათი რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით.

ცნობილია, რომ წარსულში საწარმოო ძალების უთანაბრო განლაგებამ საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოიწვია წარმოების მეტისმეტი კონცენტრაცია დაბლობ რაიონებსა და დიდ ქალაქებში. უკანასკნელ ათწლეულში რესპუბლიკის დიდი და საშუალო ქალაქების მოსახლეობა სულ 297 ათასით, ესე იგი 22 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 17 მთის და მთისწინა რაიონის მოსახლეობა შემცირდა 29 ათასით, ანუ 6,4 პროცენტით.

მიგრაციის პროცესები ისტორიულად მყარია. მათ საფუძვლად უდევს არადამაკმაყოფილებელი ცხოვრების პირობები, მეურნეობის განვითარების დაბალი დონე. **ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული ამოცანა — ზემოქმედება მოვახდინოთ მიგრაციის პროცესებზე — სავსებით გამართლებული და დროული.**

ეს კურსი ხორციელდება მეათე ხუთწლედში მიღებულ ეკონომიკურ და სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსური სისტემის საფუძველზე. ხანგრძლივი პერიოდის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ვრცელი პროგრამები შემუშავდა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, და ეს ითქვა ყრილობაზე, თუ რა დადებითი რეზონანსი ჰქონდა ათეული წლების წინათ გაუკაცრიელებული მთელი რიგი დასახლებული პუნქტების აღორძინებას გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებში, საბჭოთა მეურნეობების შექმნასა და დასახლებას წითელწყაროს რაიონის უნაყოფიერეს მიწებზე.

ყოველივე ეს მკვრმეტყველურად მოწმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვას ქართველი ხალხის ეროვნულ, ბუნებრივ, კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის, ეკონომიკურ შესაძლებლობათა ზრდისათვის.

ეს პროცესები, როგორც ყველა თქვენგანმა, ალბათ, წაიკითხა, დამაჯერებლად და ემოციურად ასახა ჩვენმა თვალსაჩინო მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ამას წინათ გამოქვეყნებულ ნარკვევში „მთას დაყრდნობილ მთიელი“. დაეცხრომლად და გახუნწყვეტლივ უნდა ვიზრუნოთ მაღალი მთის და მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო გარდაქმნისათვის. სხვანაირად, საეჭვოა, დღეკანდელი მთიელი დაუბრუნდეს მთას, თუ იქ არ შეექმნით მისი განუზომლად გაზრდილი სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების შესაბამისი პირობები.

ამ საკითხებს უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ეთმობა. ამის შედეგად უკვე ყალიბდება დადებითი ტენდენციები. თუ 5 ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, სოხუმი, ბათუმი) სამრეწველო წარმოების ზრდამ ათწლეულის მანძილზე 180 პროცენტი შეადგინა, 17 მთის და მთისწინა რაიონში ეს მაჩვენებელი 276 პროცენტს უდრის. შეიმჩნევა არასასურველი მიგრაციის პროცესების გარკვეული შენელება.

მეთერთმეტე ხუთწლედის ერთ-ერთი ძირითადი სოციალური შედეგი იქნება შრომითი რესურსების დასაქმების დონის შემდგომი ამაღლება. 1981-1985 წლებში მატერიალური წარმოების დარგებისა და მომსახურების სფეროს განვითარების დასახული პროგრამის განხორციელების საფუძველზე საზოგადოებრივ მეურნეობაში დამატებით ჩაებმება 190 ათასი კაცი. ამის შედეგად დასაქმების დონე 1985 წელს 88 პროცენტს შეადგენს.

ჩვენ განვაგრძობთ დასახულ კურსს და, ძირითად ყურადღებას დავუთმობთ შრომის გამოყენების სფეროს გაფართოებას იმ რეგიონებში, სადაც არის თავისუფალი შრომითი რესურსები. იმასაც ვითვალისწინებთ, რომ იმ პირობებში, როცა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით განუწყვეტლივ იზრდება ქალთა აბსოლუტური რაოდენობა და წილი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მართვის სფეროშიც, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ყველგან როდი შევძელით ქალთა შრომის ფართოდ გამოყენებისათვის არსებულ შესაძლებლობათა მთლიანად ათვისება. მუშა-მოსამსახურე ქალთა ხვედრითი წილის ზრდა სრულიადაც არ არის საკმარისი.

მთის, მთისწინა და სამხრეთის რაიონებში აშენდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის 54 დიდმნიშვნელოვანი ობიექტი.

რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობას, რომელიც ამ ზონის ბუნებრივ სიმდიდრეთა სამეურნეო და კულტურული ათვისების წინამძღვრებს ქმნის.

მთავარია გავითვალისწინოთ და დაუცხრომლად განვახორციელოთ იმ დემოგრაფიულ პროცესებზე ინტენსიური ზემოქმედების გეგმაზომიერი პოლიტიკა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ეკონომიკისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის მეურნეობის განვითარება

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემდგომი ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის უპირატესი განვითარების საფუძველზე სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა გაიზრდება 31-34 პროცენტით. სოფლის მეურნეობაში დიდი ყურადღება დაეთმობა მეჩაიეობის, სუბტროპიკული კულტურებისა და მევენახეობის განვითარებას. განმტკიცდება საკურორტო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. თანამიმდევრულად განხორციელდება ყველა ის ღონისძიება, რომლებიც აფხაზეთის ასსრ ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ცნობილი გადწყვეტილებებით არის გათვალისწინებული.

აჭარის ასს რესპუბლიკაში სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა გადიდდება 23-26 პროცენტით, ამასთან უპირატესად განვითარდება მანქანათმშენებლობა და კვების მრეწველობა. დასახულია ჩაის, ციტრუსების, ყურძნის, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდება. განხორციელდება საკურორტო ზონის განვითარების სამუშაოები.

ორივე ავტონომიური რესპუბლიკისათვის, აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროს სხვა რაიონებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი მიმართულებებით გათვალისწინებულ ნაპირგასამაგრებელ სამუშაოთა პროგრამის შესრულებას.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სამრეწველო წარმოების ზრდა გათვალისწინებულია 31-34 პროცენტით. სოფლის მეურნეობაში დასახულია მებაღეობისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარება. არსებითად გაფართოვდება სახალხო განთლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურის სხვა დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ეჭვი არ არის, რომ მომავალ ათწლეულში აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის ეკონომიკის განმტკიცება კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მოსახლეობის კულტურის შემდგომ განვითარებასა და სულიერი ცხოვრების გამდიდრებაზე.

ამხანაგებო!

10-15 წლისათვის განვითარების სხვადასხვა ვარიანტის გაანგარიშების ანალიზი ცხადყოფს, რომ მატერიალური და შრომითი რესურსების დამატებითი მოცულობების გამოყენების შედეგად ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად მცირდება.

თანდათან იწურება ზრდის ექსტენსიური ფაქტორები. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შევიმუშაოთ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად ავინაზღაუროთ ამ პროცესის შესაძლო არასასურველი შედეგები.

ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის ინტენსიური ფაქტორების აქტივიზაციისაკენ მტკიცე შემობრუნების გზით. სწორედ ამიტომ თვალსაწიერ პერსპექტივაში სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სისტემის სრულყოფა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

ასე აყენებს პარტია ამოცანას დღეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა და ხორციელდება ამ მიმართულებით. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა გეგმათა პროექტებში სრულად უნდა ასახონ სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის ამოცანების გადაწყვეტა საერთო-რესპუბლიკური მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების უზრუნველსაყოფად რესურსების მაქსიმალური კონცენტრაციის გათვალისწინებით. ჩვენ დაუცხრომლად უნდა ვიმუშაოთ განვითარების ინტენსიურ მეთოდებზე ეკონომიკის გადასაყვანად, უფრო ენერგიულად უნდა გამოვნახოთ ზრდის შინაგანი რეზერვები, ყოველმხრივ განვამტკიცოთ სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინა, სრულყოთ ყველა რგოლის მუშაობის სტილი და მეთოდები.

XXV ყრილობაზე რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მთელი რიგი სერიოზული კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა მინისტრთა საბჭოს მიმართ. ჩვენ ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანეთ. სხვანაირად არც შეიძლებოდა. მინდა მოგახსენოთ, რომ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა დაბეჯითებით და შეუპოვრად აღწევდა თავისი მუშაობის ძირეულ გარდაქმნას, პასუხისმგებლობისა და საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლებას, კონტროლის სისტემის გაძლიერებას, კვალფიციური კადრებით აპარატის განმტკიცებას, მისი სტრუქტურის სრულყოფას. ყოველივე ამას გარკვეული დადებითი შედეგები მოჰყვა.

მართვისა და ხელმძღვანელობის შემდგომი დემოკრატიზაციის თვალსაჩინო მაგალითს გვიჩვენებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. სისტემად იქცა მინისტრთა საბჭოში ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო საკითხების განხილვა ცენტრალური კომიტეტის მდივნების მონაწილეობით. არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გაიმართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, უწყებათა ხელმძღვანელები. სხდომაზე გამოვიდა ედუარდ აბმროსის ძე შევარდნაძე. გაიმართა ერთობ საპირო, გულახდილი საუბარი მთელ რიგ აქტუალურ, როგორც იტყვიან, საჭირბოროტო საკითხებზე. ამ შეხვედრამ, ამ გულახდილმა საუბარმა უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა, დაგვეხმარა უკეთ დაგვენახა ჩვენი ნაკლოვანებანი, რესპუბლიკის სამეურნეო აპარატის საქმიანობის ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოსაფხვრელად უკვე მივიღეთ კონკრეტული ზომები. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი იქნება, თუ ცენტრალური კომიტეტის მაგალითს მიბაძავენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, თუ მათი ხელმძღვანელები უფრო ხშირად შეხვდებიან საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების კოლექტივებს, განამტკიცებენ მათთან საქმიან კონტაქტებს, უფრო ღრმად ჩასწვდებიან მათს მუშაობას, გაუწევენ დახმარებას, ვინაიდან სამეურნეო რგოლების — საამქროთი დაწყებული და სამინისტროთი დამთავრებული — საქმიანობაზე პარტიული გავლენის დონეზე მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული საერთო საქმის წარმატება.

მინისტრთა საბჭო თავის მხრივ კიდევ უფრო გააძლიერებს, კიდევ უფრო კონკრეტულს გახდის ხელმძღვანელობას სამეურნეო-სამმართველო სისტემის საქმიანობისადმი. ცხადია, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები უფრო ხშირად უნდა მივიდნენ სამინისტროებსა და უწყებებში. უფრო მეტად უნდა დაეხმარონ და ასწავლონ მათ კონკრეტული საქმეებით, მითუმეტეს, რომ ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოებში უკანასკნელ დროს მოვიდნენ ახალი კადრები, რომლებმაც დიდი სურვილით მოჰკიდეს საქმეს ხელი, მაგრამ მათ ყოველთვის ჯერ კიდევ როდი ჰყოფნით გამოცდილება.

სამეურნეო ხელმძღვანელთა რა თვისებების გამომუშავებას უნდა მიექცეს ჩვენი ყურადღება?

არ შევცდები, ალბათ, თუ ვიტყვი, რომ ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მათი მაღალი კომპეტენტურობ

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲐᲦᲒᲕᲐᲜᲗᲝ, ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲛᲝᲒᲕᲘᲬᲝᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲡᲐᲡᲐᲛᲝᲣ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲤᲝᲠᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ, „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲛᲐᲗᲑᲐᲜᲔᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲛᲘᲙᲚᲔᲓ ᲒᲐᲔᲖᲘᲐᲠᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲛᲐᲜᲘᲤᲔᲡᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲜᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲐᲗ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲛ ᲓᲘᲓ ᲤᲝᲠᲣᲛᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲘᲡᲐᲡ ᲛᲘᲘᲚᲔᲓᲔ.

ᲫᲐᲚᲐᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ

Ა. ᲐᲫᲘᲑᲐ,
ქ. ტყვარჩელის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს № 8 შახტის მესამე უბნის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲓᲐᲛᲔᲝᲠᲔᲜᲗᲮᲛᲔᲑᲘᲗ, უდიდესი პატივია, როცა უბრალო მშრომელ კაცს ესოდენ დაგაფასებენ და რესპუბლიკის კომუნისტთა უდიდესი ფორუმის — ყრილობის დელეგატად აგირჩევენ. სწორედ ასეთი პატივი მხვდა წილად. და ამით გამოწვეულ უსაზღვრო სიხარულს განუზომლად ზრდის ის ფაქტი, რომ მე ვიყავი მონაწილე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა, რომელმაც თავისი მეტად საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული ტონით, რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისადმი ჭეშმარიტად მეცნიერული მიდგომით ახალი წარმატებების მოპოვებისათვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა სრულად ხორცშესხმისათვის განგვაწყო მისი მონაწილენი.

ამ დღეებში ასეთივე სულისკვეთებით არის გამსჭვალული რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი, ყველა მშრომელი. ამის ხაილუსტრაციოდ თუნდაც მხოლოდ ჩვენი ბრიგადის მაგალითიც კმარა. იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეავსრულეთ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გახსნის წინ. 22 იანვარს ამ ყრილობის გახსნის დღის კი ჩემმა ბრიგადელმა თანამოსაქმეებმა, მეგობრებმა დამირეკეს და მითხრეს: შეგიძლია ყრილობას აცნობო, რომ სკკპ XXVI ყრილობისათვის ნაკისრ ვალდებულებებსაც ასევე ვადამდე და გადაჭარბებით შევასრულებთო...

ყრილობა დამთავრდა, მისი გადაწყვეტილებების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლა კი ამთავითვე უნდა დავიწყოთ. სწორედ ამგვარი განწყობილებით, ძალამოფატებული ვბრუნდებით შინ, მშობლიურ შრომითს კოლექტივებში ყრილობის დელეგატები. სწორედ ამ მიზნით ვიშრომებთ და გავიჯერებთ.

ეს ყრილობა მრავალმხრივ იყო მნიშვნელოვანი და გამორჩეული, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო ერთი ნიშანი, რომელიც მისთვის ერთობ დამახასიათებელი გახლდათ. ეს არის ჭეშმარიტი დემოკრატიულობა. სოლო ამის შესახებ ყველაზე ნათლად მეტყველებს, თუ გნებავთ, ის ფაქტი, რომ მის მუშაობაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა თითქმის ერთიმეორესაც და საკუთარ თავსაც. ეს ჩვენთვის თეორიულად ნახსენები მუშაობის ლენინური სტილის პრაქტიკულ გამოხატულებად იქცა.

განსაკუთრებით დამახსოვრდა კიდევ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამი: „მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედები ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება“. მერე თვალნათლივ დავინახე ის პერსპექტივები, ის დიდი პროგრამა, რომელიც თქმულის განხორციელების კონკრეტულ გზებსა და საშუალებებს შეიცავს. უკვე იხაზება ჩვენი მომავალი წარმატებების კონტურები. ახლა ჩვენი ცხოვრებისა და მუშაობის სხვადასხვა სფეროს მუშაკებს, თითოეული ჩვენგანის შრომა და მოღვაწეობაა საჭირო იმისათვის, რომ გონივრულად ჩამოყალიბებული მომავლის პროგრამა კონკრეტულ გამარჯვებად, ჩვენი ქვეყნის და ხალხის მომავალი კეთილდღეობის საფუძვლად იქცეს. და ჩვენც, კომუნისტთა ახალგაზრდა თაობა, კვლავაც პარტიის ძველ გვარდიელთა გვერდით ვიქნებით ამ უმნიშვნელოვანეს და გრანდიოზულ ამოცანათა ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ბოლოს, ერთ რამეზეც მინდა მოგახსენოთ. აღტაცებას ვერ ვფარავდით, როცა ჩვენს ყრილობას ახალგაზრდობის წარმომადგენლები მიესალმნ ენ. ოჰ, რა შთამბეჭდავი იყო ყველაფერი!

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ, ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

Კ. ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

ᲫᲐᲚᲘᲐᲜ რთული კითხვის წინაშე დამაყენეთ... განა იმიტომ, რომ სათქმელს ძებნას დავუწყებ. შეეკითხეთ, ვისაც გნებავთ, ყრილობის მონაწილეთაგან, და ალბათ ყველა ჩემსავით გიპასუხებთ, რომ მოკლედ თქმა არ ხერხდება. რამდენი მღელვარება, სიხარული და ქმაყოფილება განვიცადეთ!

მე ამ ოცწლეულში გამართული ოთხი ყრილობის მონაწილე ვარ და ჩემს გონებაში მათ ერთმანეთს ვადარებ. ეს ოცდამეექვსე სულ სხვაა, თავისი მომზადებითა და მსვლელობით, თავისი ფორმითა და განსაკუთრებით — შინაარსით. დელეგატები უზრუნველყოფილი ვიყავით მრავალი საცნობარო მასალით, ჩვენს ცოდნას ამდიდრებდა საუკეთესოდ მოწყობილი გამოფენა.

რა თქმა უნდა, ყრილობის მაღალი დონე, მისი დიდი საქმიანობის ატმოსფერო, შინაპარტიული დემოკრატიის ახალი წინ დიდი და პრაქტიკული მუშაობა გვაქვს. ყრილობის გადაწყვეტილებანი კარგად უნდა გავაცნოთ ყველას, რომ უფრო უკეთ შეიგრძნონ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მეტად პასუხსაგები საბრძოლო ამოცანები.

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ, ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

Დ. ᲯᲐᲑᲘᲫᲔ,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სსრ კავშირის გმირი.

ᲛᲔᲢᲐᲓ საქმიანი, კრიტიკული და თვითკრიტიკული ატმოსფერო, რომელიც ყრილობაზე სუფევდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისას, განსაკუთრებული აქტიურობა, რომელსაც იჩენდნენ ყრილობის მონაწილენი და, რაც მთავარია, უკეთ მუშაობის, ახალი წარმატებების მოპოვების ერთობლივად შემუშავებული გადაწყვეტილებები უახლოეს მომავალში უთუოდ დადებითს ზეგავლენას მოახდენს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, ნათელ ფურცლად ჩაიწერება საბჭოთა საქართველოს ისტორიაში.

სიტყვები — „ერთობლივად შემუშავებული“ — შემთხვევით არ მიხმარია. ეს მართლაც ასეა, რადგან ამ ფორუმის წარმატებაში სხვადასხვა ფორმით, იქნებოდა ეს კამათში გამოსვლა თუ წინადადებები, რომლებიც ყრილობის პრეზიდიუმმა მიიღო, ან სხვადასხვა სექციებში მუშაობით, მისმა ყველა მონაწილემ შეიტანა თავისი წვლილი.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ უმაღლესი სახწავლებელი მარტო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების უმთავრესი კერა კი არ არის, არამედ იგი მეცნიერთა მომავალი კადრების სამეცნიერო ლაბორატორიებად გახლავთ. სწორედ ამიტომ მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო ერთ საკითხს, რომელიც განსაკუთრებით მომხვდა გულს. კერძოდ, მეცნიერებაზე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, დიდი ყურადღება რომ დაუთმო ყრილობამ, და რომელსაც, როგორც აქ ითქვა, ყრილობის შემდეგ ერთ-ერთი პრეზენი პლენუმი მიეძღვნება, უფრო მეტად კი მომხსენებლის სიტყვები ჩამჩერა გონებაში: ძალიან განვიცდი, რომ ვერ შევძელი ყურადღება გამემახვილებინა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მდგომარეობაზეო.

როდესაც ამ სიტყვებს ამბობს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომელსაც სხვა უამრავი საფიქრალ-საზრუნავი აქვს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი რამ გვეკისრება ჩვენ, ამ მართლაც ძალიან მნიშვნელოვან უბანთან მჭიდროდ დაკავშირებულ სპეციალისტებს. ამიტომ ჩემი აზრით, აქ ისევე როგორც ყველგან, ახალი წარმატებების მოპოვების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თითოეული ჩვენგანის უდიდესი პერსონალური პასუხისმგებლობა.

ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ბოლო აკორდზე მაინც მინდა მოგახსენოთ... მოეწყო რადაც გასაკვირი, ნიჭიერად მოფიქრებული კონცერტი, ყველა რომ აღტაცებაში მოიყვანა.

ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲓᲐᲜ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი დარბაზში.
ს. ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და Გ. ᲙᲘᲙᲕᲐᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ლენინური პარტიის, ჩვენი დიადი სამშობლოს, საბჭოთა ადამიანების გმირული მიღწევების, საქართველოს სახელოვანი მშრომელებისადმი სადიდებელ ჰიმნად გაისმა 24 იანვარს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული საზეიმო კონცერტი. იგი გახდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისადმი ქართული საბჭოთა ხელოვნების ოსტატთა შემოქმედებითი პატაკი.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გელაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშეიკი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორკონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბ. გიორგაძე, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრი ს. დ. ხიტაროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ნ. ბაზოვსკი, ჟურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი მ. ი. ხალდეევი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ვ. ვიტოროფი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ა. პასკარი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ი. სელეზნიოვი და ყრილობის სხვა სტუმრები.

სცენაზე წითელ დროშებში ოქროსფრად ელვარებს ციფრი „XXVI“, წითელი დროშების ტყე აღიმართა სპორტსმენთა ხელში, რომლებმაც სცენა შეავსეს. მშობლიური პარტიისადმი ფიცად აღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტების სოფიკო ჭიაურელისა და გიორგი გეგეჭკორის მიერ წარმოთქმული სიტყვები დიდი ლენინის ანდერძისადმი, ჩვენი პარტიის საქმის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ლ. ი. ბრეჟნევისადმი საქართველოს კომუნისტთა ერთგულების შესახებ. ეს სიტყვები კონცერტის მკაფიო პროლოგად იქცა, რომლის წამყვანი თემა გახდა კომუნისტთა პარტიის მიერ გამოკვეთილი ხალხთა მეგობრობის თემა.

...სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის ოთარ თაქთაქიშვილის „საზეიმო მარშის“ პირველი ტაქტები. პირველად აღდერდა ყრილობისადმი მიძღვნილი ნაწარმოები, რომელიც რესპუბლიკის დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა ავტორის დირიჟორობით. შემდეგ გაერთიანებულმა გუნდმა (სოლისტი — გლინკას სახელობის ვოკალისტთა სრულიად საკავშირო კონკურსის ლაურეატი ე. გეწმაძე) შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ა. ჩიმაკაძის ახალი თხზულება „ოდა ლენინს“, რომელიც პოეტ ხ. ბერულავას ლექსზე შეიქმნა და მიეძღვნა ყრილობას.

ახალგაზრდული მგზნებარებით, სიცოცხლის წყურვილით ორმა ანსამბლის ვოკალურმა ჯგუფმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით შეასრულა ძველი ქართული სიმღერა... საქართველოს სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის პრემიის ლაურეატმა გურამ საღარაძემ შთაგონებით წაიკითხა „ავთანდილის ანდერძი“ — რუსთაველის მარად ცოცხალი სიტყვა მეგობრობისა და ძმობის, ჰუმანიზმისა და თანასწორობის შესახებ. სცენის სიღრმეში კი გამოჩნდა საქართველოს ისტორიული ძეგლების — ხალხის სულიერი ცხოვრების საგანძურის გამოსახულებანი. და უნებურად გახსენდება დიდი გალაკტიონის ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც ხოტბას ასხამს გარდასულ დროთა ხუროთმოძღვრებს,. დღეს კი მათი შთამომავალნი ახალ ქალაქებს აშენებენ, უნიკალურ კაშხალებს აგებენ...

მხატვრული ტანვარჯიშის ჩინებული ტექნიკა გამოავლინეს სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატის ნ. სალაძის, მწვრთნელების ს. მეყანწიშვილის და გ. გედეგანშვილის აღზრდილებმა.

კონცერტის ნამდვილი მშვენება იყო აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედების — სოხუმის პიონიერთა გამოვლინება მარტო მოსამზადებელი პერიოდის საქმე არ არის. იგი ლოგიკური შედეგია იმ თანამიმდევრული და შემოქმედებითი მოღვაწეობისა, რომლის ჯანსაღი მარცვლები თანდათანობით ჩნდებოდა ამ ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პარტაქტივების მოწყობის პრაქტიკაში.

საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გააკეთა, განსაზღვრა მთელი ყრილობის მუშაობის კრიტიკული და თვითკრიტიკული ტონი, მთავარ პრობლემებზე მსჯელობის გულახდილობა და ხიღრმე. არ მახსოვს, რომ წინათ ასე პირუთვნელად გაეკრიტიკებინოთ რესპუბლიკის მინისტრთა სახეზე, უმაღლესი სახეზის პრეზიდიუმი, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, მდივნები და ბიუროც კი.

სწორედ ასეთი განწყობილება გადაეცა ცალკეული პრობლემების მიხედვით შექმნილი სექციების მუშაობასაც. ამ სექციების სხდომებში ასობით დელეგატმა მიიღო მონაწილეობა და იქ გამოთქმულმა შესანიშნავმა წინადადებებმა კიდევ უფრო დაკონკრეტა და გაამდიდრა ყრილობის დოკუმენტები.

როცა საანგარიშო პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობის შეფასებაზე მიდგა ჯერი, ყველა დელეგატი ფეხზე ადგა და მჭეხარე ტაშით გამოხატა ერთსულოვანი აზრი. რა თქმა უნდა, კენჭიხყრა მაინც მოეწყო, მაგრამ, მას რომ წინ უსწრებდა, იმ განუმეორებელ წუთებს რა დაგვავიწყებს...

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ: ᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲔᲜ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ. ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ „ᲮᲚᲝᲚᲘᲓᲐᲠᲝᲑᲘᲡ“ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡᲗᲐ ᲐᲛᲬᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲑᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ. ᲛᲐᲗ ᲞᲠᲝᲤᲝᲛᲯᲐᲠᲘᲝᲜᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲡ ᲨᲣᲨᲘᲡ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

ეს ხორციელდება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობის გამო ითვალისწინებს არასამუშაო დღედ მხოლოდ ყოველი მეორე შაბათის გამოცხადებას. ასეთ პოზიციას მხარს უჭერენ დარგობრივი პროფკავშირები. მაღაროელთა პროფკავშირის თავმჯდომარემ გამგეობამ მოუწოდა შრომითს კოლექტივებს სამუშაოდ გავიდნენ 24 იანვარს, თუმცა მეშახტეებმა, რომლებიც მიწისქვეშ შრომობენ, ხუთდღიანი სამუშაო კვირის უფლება მიიღეს.

მთავრობამ მოუწოდა დარგობრივ პროფკავშირებს და პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ რეალურად შეაფასონ ქვეყნის არსებული ეკონომიკური შესაძლებლობანი და 24 იანვარი სამუშაო დღედ გამოაცხადონ. მაგრამ ახალი პროფგაერთიანების ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით მის მემარჯვენე ფრთას, რომელშიც ანტიკომუნისტური ძალები მოქმედებენ, ხელი არ აუღია თავის მოწოდებაზე, რომ მშრომელები არ გავიდნენ ამ დღეს სამუშაოდ.

ამით ახალი პროფგაერთიანების ლიდერებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ საქმე მიჰყავთ ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დეზორგანიზაციამდე, ხელისუფლების ორგანოებთან განზრახ კონფრონტაციამდე.

ᲔᲥᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲑᲐᲑᲡ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ-ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲨᲝᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის ახალი ადმინისტრაციის ოფიციალური თვალსაზრისი ირანთან დადებული შეთანხმების გამო გამოთქვა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა უ. დაიესმა. მან განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მძევლები გაათავისუფლეს, და ამერიკის პრეზიდენტის ალმასრულებელი განკარგულებანი ამ საკითხში ზუსტად არის ფორმულირებული და კონკრეტულია. რესპუბლიკური ადმინისტრაცია უკვე შეუდგა მათს ზედმიწევნით შესწავლას. რ. რეიგანის ადმინისტრაცია, აღნიშნა მან, აპირებს შეასრულოს ამერიკის ვალდებულებანი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ამავე დროს, თქვა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ამ შეთანხმების შესრულების პროცესი „რთული და ძნელია, რომელიც დიდ დროს საჭიროებს“.

ამასობაში ასმა ამერიკულმა კომპანიამ, რომლებიც ნიუ-იორკის ფედერალურ სასამართლოებში აღძრულ სარჩელებში პრეტენზიას აცხადებენ მილიარდი დოლარის ირანულ ავუარებზე, მოუწოდა თეთრ სახლს გადადოს პრეზიდენტ კარტერის ალმასრულებელი განკარგულებების შესრულება. სხვა კორპორაციებმა სარჩელი აღძრეს ვაშინგტონის ფედერალურ სასამართლოებში და ცდილობენ ხელი შეუშალონ ირანის ავუარების გარკვეული ნაწილის უკან დაბრუნებას. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ყადაღადებული 14 მილიარდი დოლარიდან გარიგების პირობებით ირანს ფაქტობრივად დაუბრუნდა მხოლოდ 2,9 მილიარდი დოლარი.

პრესა იუწყება, რომ ვისბადენის (გფრ) ამერიკის სამხედრო ბაზაში, სადაც თეირანში ამერიკის საელჩოს განთავისუფლებული თანამშრომლები იმყოფებიან, გაიგზავნა „ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტთა დიდი ჯგუფი“.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ. ირანის ადმინისტრაციულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ბ. ნაბავიმ უარყო ამერიკის ინფორმაციის საშუალებების მიერ გავრცელებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ამას წინათ განთავისუფლებულ მძევლებს აწამებდნენ და ახუნაგ იყდებდნენ.

მან განაცხადა, რომ ირანი „მოელოდა ამგვარ ცილისწამებას“, და რომ ასეთი მოქმედება ნიშნავს „ვაშინგტონის ახალ პოზიციას ჩვენი ქვეყნის მიმართ“, მიზნად ისახავს გარკვეული კლიმატის შექმნას, რომელიც „ამერიკის ხელისუფლებას სურს სასაბაედ გამოიყენოს და არ შეასრულოს მძევლების თაობაზე აღებული ხელმოწერილი შეთანხმება“.

ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ. ხეულში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მიმდინარე წლის 2 თებერვალს მარიონეტოა სამხრეთ კორეის ადმინისტრაციის მეთაური ჩონ დუ ხვანი რ. რეიგანის მიწვევით ვიზიტად ჩავა ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტთან მოლაპარაკებისათვის. მომავალი მოლაპარაკების დროს, როგორც კიოდო ეუსინის საგენტო აღნიშნავს, ისინი განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სამხრეთ კორეის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲩᲣᲥᲣᲠᲗᲛᲐ

ᲜᲘᲭᲘᲔᲠ მოცეკვავეთა მთელ თანავარსკვლავედს აერთიანებს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ფართოდ ცნობილი ეს ქოროეოგრაფიული კოლექტივი. მან მაყურებლებს უჩვენა ოსური ცეკვა „სიმდი“, რომელშიც სოლისტები იყვნენ საქართველოს სახალხო არტისტი თ. სუხიშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. თევზაძე. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა ფ. თადთაევამ ოსურ და ქართულ ენებზე შესანიშნავად წაიკითხა ლ. ხარებოვის ლექსი „საქართველოს“.

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ვოკალურმა ჯგუფმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის გ. ბაქრაძის ხელმძღვანელობით შეასრულა ძველი ქართული სიმღერა... საქართველოს სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის და რუსთაველის პრემიის ლაურეატმა გურამ საღარაძემ შთაგონებით წაიკითხა „ავთანდილის ანდერძი“ — რუსთაველის მარად ცოცხალი სიტყვა მეგობრობისა და ძმობის, ჰუმანიზმისა და თანასწორობის შესახებ. სცენის სიღრმეში კი გამოჩნდა საქართველოს ისტორიული ძეგლების — ხალხის სულიერი ცხოვრების საგანძურის გამოსახულებანი. და უნებურად გახსენდება დიდი გალაკტიონის ლექსი „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, რომელიც ხოტბას ასხამს გარდასულ დროთა ხუროთმოძღვრებს,. დღეს კი მათი შთამომავალნი ახალ ქალაქებს აშენებენ, უნიკალურ კაშხალებს აგებენ...

მხატვრული ტანვარჯიშის ჩინებული ტექნიკა გამოავლინეს სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატის ნ. სალაძის, მწვრთნელების ს. მეყანწიშვილის და გ. გედეგანშვილის აღზრდილებმა.

კონცერტის ნამდვილი მშვენება იყო აფხაზეთის მხატვრული თვითმოქმედების — სოხუმის პიონერთა სახლის ინტერნაციონალური გუნდის ნორჩ მონაწილეთა გამოსვლა. სოხუმის ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის მსახიობმა, აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტმა ნ. კამკიამ აფხაზურ და ქართულ ენებზე ამაღელვებლად წაიკითხა აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას ლექსი „პარტია“.

და სცენას კვლავ ავსებენ ლამაზ ეროვნულ კოსტიუმებში გამოწყობილი ქალიშვილები და ბიჭები — ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის სოლისტები. ვეტერანებთან — მზიური აკრის განთქმულ მოცეკვავეებთან რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებთან თ. მიქელაძესთან, ა. ჯიჯეიშვილთან, თ. მელაძესთან და სხვებთან ერთად ისინი ასრულებენ „განდაგანას“. ანსამბლმა პირველად აჩვენა მთიელთა ცეკვა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის დადგეს კოლექტივის ხელმძღვანელებმა.

ამ საღამოს კონცერტის დამსწრენი ზეპირია ფალიაშვილის უკვდავი მელოდიებით დაატკბეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ტუღუშმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა თ. გურგენიძემ, საოპერო თეატრის სოლისტმა ა. ხოფერიკმა, რომლებმაც შეასრულეს ნაწყვეტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. კონცერტზე აღერდა იმპროვიზაცია ორი როიალისათვის, რომელიც ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ბასილაიამ და მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტმა ვ. კახიძემ შეასრულეს.

მსმენელები კვლავ გაახარა საქართველოს სახალხო არტისტმა ნ. ბრეგვაძემ, რომელმაც ჩვეულებრივ ოსტატობით იმღერა ძველი რუსული რომანსი „ჭიშკარი“. აკომპანიატორი იყო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი პიანისტი მ. გონგლოშვილი.

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

კონცერტის სადღესასწაულო ჩუქურთმას ორგანულად შეერწყა საბჭოთა საცირკო ხელოვნების განთქმული ოსტატის ოსკარის პრემიის ლაურეატის, რსფსრ დამსახურებული არტისტის იგორ კიოს ხელოვნება, რომლის გასტროლები დიდი წარმატებით მიმდინარეობს ჩვენს